



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და  
ბრძანების ნომერი: 15.10.2018 წელი,  
ბრძანება N 91, დანართი N 3.

ევროპის უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის  
კომუნიკატორის ინსტიტუტის  
დებულება

# დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. კომუნიკატორის ფუნქციები.....	3
მუხლი 3. კომუნიკატორთა კოორდინატორი .....	3
მუხლი 4. კომუნიკატორის/კომუნიკატორთა კოორდინატორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა ...	4
მუხლი 5. დასკვნითი დებულებები.....	4





## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კომუნიკატორის ინსტიტუტის დებულებით რეგულირდება კომუნიკატორის საქმიანობის მიზანი, ფუნქციები, უფლებამოსილების შეწყვეტა და სხვა.

1.2. კომუნიკატორის ინსტიტუტი წარმოადგენს მედიცინის ფაკულტეტის თითოეული ჯგუფიდან ორი სტუდენტისაგან შემდგარ გაერთიანებას.

1.3. კომუნიკატორები აირჩევიან შესაბამისი ჯგუფის სტუდენტების მიერ ღია კენჭისყრით. კომუნიკატორის პოზიციაზე თავისი კანდიდატურის წამოყენება შეუძლია შესაბამისი ჯგუფის ნებისმიერ სტუდენტს. ჯგუფის კომუნიკატორად არჩეულ იქნება ყველაზე მეტი ხმის მქონე ორი კანდიდატი. კომუნიკატორად არჩევა ხდება ერთი სასწავლო წლის ვადით, სასწავლო წლის დასაწყისში.

## მუხლი 2. კომუნიკატორის ფუნქციები

2.1. კომუნიკატორის ფუნქციებია:

ა) ფაკულტეტზე მიმდინარე ცვლილებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად და მყისიერად მიწოდება შესაბამისი ჯგუფებისათვის;

ბ) შესაბამისი ჯგუფის სტუდენტების წინადადებებისა და შენიშვნების ეფექტურად და მყისიერად მიწოდება ფაკულტეტის დეკანისათვის;

გ) ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება.

2.2. კომუნიკატორი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის ობიექტურად გადაცემა და არ დაუშვას მისი ინტერპრეტაცია ან ფაქტების დამახინჯება.

## მუხლი 3. კომუნიკატორთა კოორდინატორი

კომუნიკატორები თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევენ სამ კოორდინატორს.

3.1. კომუნიკატორთა კოორდინატორის ფუნქციებია:

- წარმოადგენს უშუალო საკონტაქტო და პასუხისმგებელ პირს ფაკულტეტის დეკანთან.
- ორგანიზაციას უწევს კომუნიკატორების საქმიანობას .



## მუხლი 4. კომუნიკატორის/კომუნიკატორთა კოორდინატორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა

4.1. კომუნიკატორის/კომუნიკატორთა კოორდინატორის მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია დანიშნოს შესაბამის კომუნიკატორის რიგგარეშე არჩევნები. კომუნიკატორის/კომუნიკატორთა კოორდინატორის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი შესაძლებელია დადგეს დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში; ასეთად შეიძლება ჩაითვალოს:

ა. კომუნიკატორის/კომუნიკატორთა კოორდინატორის შეხვედრების სისტემატურად და არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

ბ. საჭირო ინფორმაციის დაგვიანებით ან/და არასწორად მიწოდება.

4.2. კომუნიკატორის/კომუნიკატორთა კოორდინატორის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის ინიცირება შესაძლებელია:

ა. ჯგუფის წევრების 50%+1 -ის წერილობითი განცხადების საფუძველზე;

ბ. დეკანის ინიციატივით;

გ. საკუთარი განცხადების საფუძველზე.

## მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებები და დამატებები შედის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.